# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 8 სამშაბათი, 12 იანვარი 1910 წ. № 8



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან დღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი-ვანის ქ. № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
—დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.—



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ **1910** წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

◆ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ◆

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆——

——◆ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.





## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

სამშაბათს, 12 იანვარს, 1910 წელს, დიდი წარმოდგენა თვითონ დირექტორის **აკიმ ნიკიტინის გამგეობით** მონაწილეობას იღებენ პირველ-ხარისხოვანი არტისტი კაცები და ქალები, ე. **ნიკიტინა, ლეონსი, მისსრუტსი** და სხვანი. სხვათა შორის **პირველი გასტროლი** შესანიშნავ **იაპონურ დასისა**, რომელიც შესდგება 25 კაცისაგან. ამ დასში სულ სასახელო არტისტები არიან. საუცხოვო სანახავია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(C—ხ.—14) გამგე **გამსახურდია.**

## გლეხი-კაცის ისტორია

რამდენიმე აგენტისა და კიდევ მრავალ ხელის მოწერის მსურველ პირის თხოვნით „გლეხი-კაცის ისტორია"-ზე ხელის მოწერა, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიც გაგრძელდება **20 იანვრამდე**, ვინც ოც იანვრამდე არ შემოიტანს აგენტებთან ან გამომცემელთან ხელ-მოსაწერ ფულს, იმათთვის წიგნი არ დაიბეჭდება და გვიან მიღებული ფული უკანვე დაუბრუნდება პატრონს. აგენტებმა სრული ანგარიში უნდა გამოგზავნონ ადგილიდან ამ იანვრის **20—25-მდე გარეშე აგენტებისა ვისაც შეუძლიან თავის ნაცნობებზე შვიდი ხელის-მომწერის შოვნა და შვიდ მანეთს წინდაწინვე გამოგზავნის ზემოხსენებულ ვადამდე, მას გაეგზავნება რვა წიგნი „გლეხი-კაცის ისტორია" გამომცემლების ხარჯით.** რადგან **წიგნი ცალკე გასასაყიდად არ გამოვა,** სამკითხველოებს გამგეებს შეუძლიათ შეიძინონ ხსენებული წიგნი მხოლოდ ხელის მოწერით. წიგნის ბეჭდვა დაიწყება აუცილებლათ **1-ლ თებერვალს** და ყოველიე ღონე იქნება მიღებული დროზე საქმის დასასრულებლად.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა „გლეხი-კაცის ისტორია"-ზე ხელის-მოწერის შესახებ გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Кирочная ул. № 9. **Василію Гадилія.**

(5—ნ.—2) წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაცია და კონსილიუმი მორიგებით.

(წლ.—ნ.—244)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ.

## კვირეული საპოლიტ. სალიტერ. და სამეცნ. ჟურნალ
## საქართველოს მოამბეზე

ფასი ერთის წლით 4 მ. 50 კ., ექვსი თვით 2 მ. 50 კ., უცხოეთში 6 მ. მე-11 ნომრიდგან დაიბეჭდება მოპასანის საუკეთესო რომანი „ცხოვრება".

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., домъ Дворянства № 117.

ფული შემდეგის ადრესით უნდა გამიგზავნოს: Головинскій пр. домъ Манташева номера „МУХРАНИ", Семену Кипіани. (5—5)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—82)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—73)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის მეზობლად, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—11

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში.** იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—23

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—90)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

**ბოგუსვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**— ებ., ქალ., ყოველდღე 1—2

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

**კალამქაროვი**—ვენ., ქალ., ყოველ-დღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—ნ.—137)

**ექიმი გ. მაზაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიზეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—70)

**ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფები მიიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. **ელექტროტერაპია**—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—33.—5)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტუღუშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—146)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სნებისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28, **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—80)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—32)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—340)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ვენ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—37)

**გამოცდილი რეპეტიტორი**

**ეძებს გაკვეთილებს.** ასწავლის საშუალო სასწავლებლის პროგრამით და სიმწიფ. ატესტატ. სპეციალურად ასწავლის. (3—ნ.—1)

## ქ. ქუთაისში

**მებაღე ვარლამ ვ. ჩიხლაძე.**

ვყიდი ამერიკულ ვაზზე საუკეთესოდ დამყნილ ჩვენებურ ჯიშის ვენახს ხელმისაწვდენ ფასებში. მსურველს შეუძლიან იკითხოს ძველი ტფილისის ქუჩის შესახვევში ამბაკო იამანიძის სახლში (ვაგზალთან).

10—33.—7


## დეპეშები

პეტერბ. დეპ. სააგენტოსაგან.

10—11 იანვარი.

### არჩევნები ინგლისში

**ლონდონი.** აირჩიეს 184 უნიონისტი, 358 ლიბერალი, 32 მუშათა პარტიის წევრი, 58 ნაციონალისტი. უნიონისტებმა მოგიეს 82, ლიბერალებმა 9, მუშათა პარტიამ 1 ადგილი.

**ლონდონი.** 10 იანვრამდის აირჩიეს 218 უნიონისტი, 185 ლიბერალი, 33 მუშათა პარტიის წევრი და 67 ნაციონალისტი. უნიონისტებმა მიიგეს 101, ლიბერალებმა 13, მუშათა პარტიამ ერთი ადგილი.

**ლონდონი.** ირლანდიელების ლიდერმა რედმონდმა დუბლინში, სხვათა შორის, სთქვა: ეხლანდელ არჩევნების-ერთად ერთი შედეგი ირლანდიის ჰომრულია. მე არა მჯერა, რომ პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა არ შეასრულოს თავის დაპირება. დიდი მნიშვნელობა აქვს ასკვიტის განცხადებას. ირლანდიის ჰომრულს დეპუტატთა პალატაში მანამდის არ შევიტან, სანამ ლორდებს არ დავეკითხები და სამინისტროდან გავალ თუ ლორდებს უფლება ექნებათ ჩვენი განზრახვები თავიანთ უბრალო სიტყვით შეაჩერონო. თუ პრემიერ-მინისტრი ასკვიტი თავისას გაიტანს, მაშინ ლიბერალები ვერ გაჰბედავენ ირლანდიელებს ჰომრული არ მისცენო.

**ლონდონი.** დღევანდელმა არჩევნებმა გამოარკვიეს დეპუტატთა პალატის შემადგენილობა. მოსალოდნელია, რომ უნიონისტებს დაახლოვებით იმდენივე დეპუტატი ეყოლებათ რამდენიც ლიბერალებს და მუშათა პარტიას ერთად. ამ რიგად ნაციონალისტებისაგან იქნება დამოკიდებული ლიბერალების თუ უნიონისტების გამარჯვება, რაიც მალე დეპუტატთა პალატის ხელმეორედ დათხოვნას გამოიწვევს. პროვინციების არჩევნებმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბეს: ისტბერნში უნიონისტებმა გაიმარჯვეს, მაშინ როდესაც ყველანი მოელოდნენ, რომ ლიბერალები გაიმარჯვებდნენ, ასევე მოხდა ესსექსში და სხვაგან.

### საზღვარ-გარედ

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. საერო სკოლების შესახებ შეკითხვის განხილვის დროს მინისტრ-პრეზიდენტმა ბრიანმა განაცხადა: ჩვენ მშვიდობიანობის ჩამოგდება გვინდოდა, მაგრამ სამღვდელოებამ საბრძოლველად გაგვიწვია. რესპუბლიკის მტრებს ბრძოლის ვრცელი პროგრამა შეუმუშავებიათო. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს რათაც უნდა დაუჯდეს დაიცვას საერო სკოლაო.

**კონტენბლო.** სოფელ ლერიუაში წყალდიდობისგან რამდენიმე სახლი დაინგრა. მძიმედ დაიჭრა 10, მოკვდა 5 კაცი.

**პარიზი.** საფრანგეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან იუწყებიან: დიდი წვიმებისა გამო მდინარეები ნაპირიდან გადმოვიდნენ. ოკსერის ოლქში რამდენიმე ასი სახლი დაინგრა. ასევე სხვა ადგილებშიაცო.

**მადრიდი.** 10 იანვარს მაროკოდან დაბრუნდა ესპანიის ჯარი, რომელიც მაროკოლებთან ომში მონაწილეობას იღებდა. ქალაქ გარედ ჯარს დახვდა მინისტრ-პრეზიდენტი, სამხედრო მინისტრი, გუბერნატორი და ბურგომისტრი. ქალაქი მშვენივრად იყო მორთული.

**პეკინი.** მთავრობამ პრინც-რეგენტს წარუდგინა წინასწარი მოხსენება ცინჯოუ-ციციკარის რკინის გზის შესახებ. ამ რკინის გზის ასაშენებლად ჩინეთმა უნდა ისესხოს 50 მილიონი ლანი.

**ათინა.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: ტყუილია ის ხმა, ვითომ მთავრობას სამხედრო ლიგისთვის მიემართოს და თავის პირობები წარედგინოს, თუ ეს პირობები ასრულებულ არ იქნება, სამინისტრო გადადგებაო.

**გელზენ კირხენი.** ნაშუალამევს 2 საათზე გოლანდის ქვანახშირის მაღაროებიდან ამოიყვანეს ის ექვსი მუშა, რომლებიც მაღაროს კედლის ჩამონგრევის დროს ნანგრევებ ქვეშ მოჰყვნენ. ყველანი კარგად გრძნობენ თავს. ექვსივენი ნანგრევებ ქვეშ 6 საათი დარჩნენ

**ათინა.** თეოტოკისმა თავის თანამოაზრეების კრებაზედ განაცხადა: წინააღმდეგი ვარ ეროვნულ კრების მოწვევისა. საბერძნეთის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში უნდა ჩადგეს. ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ისეთ პოლიტიკურ რეფორმების განხორციელებას არ შეუდგეთ, რომლებიც დიდ დროს მოითხოვენო.

**პარიზი.** რუსეთის პასუხმა შეერთებულ შტატების წინადადებაზედ საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრზედ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. გაზეთი „ტანი" სწერს: საფრანგეთის მთავრობამ, როგორც ინგლისმა, თავდაპირველადვე განაცხადა, რომ იხელმძღვანელებს რუსეთის და იაპონიის პასუხით. რუსეთს არ შეუძლიან სულ ერთიანად ხელი აიღოს აღმოსავლეთ აზიაში მოპოვებულ უფლებებზედ. როდესაც რუსეთს სურს იაპონიასთან მეგობრული განწყობილება იქონიოს, იქ ანგარიშში მისაღები არ არის ის გარემოება, რომ მანჯურიის რკინის გზების გამოსყიდვა და საერთაშორისო კონტროლი მანჯურიაში იაპონიის გავლენას შეასუსტებსო.

**ბერლინი.** ნიუ-იორკიდან დეპეშით იტყობინებიან: ჩინეთის მთავრობასთან უკვე შეთანხმდნენ რანკოუ-სიჩუანის რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამ რკინის გზისთვის საჭირო ფულს, 60 მილიონ მანეთს, ჩინეთს ასესხებენ ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და შეერთებული შტატებიო.

**ტოკიო.** ამერიკის წინადადებაზედ პასუხის ჩაბარებისთანავე იმპერატორმა სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის საზოგადოებას ნება დართო აიღოს რკინის გზის გასაყვანად საჭირო ფული. იუწყებიან, რომ მთავრობა დაუყონებლივ 40 მილიონ იენს (იენი 97 კაპეიკი) გადასდებს ანდუნ-მუკდენის რკინის გზის გასაფართოვებლად და პორტ-არტურის გასაუმჯობესებლად.

**ნიუ-იორკი.** წყლის მილის გვირაბში დინამიტი აფეთქდა. დაიღუპა 15 კაცი.

**ვენა.** გაზეთებს ისტრიიდან დეპეშით ატყობინებენ: ისტრიის მცხოვრებლები ეპისკოპოსის ნაგლის განკარგულებებს არ ემორჩილებიან. მას შემდეგ, რაც ეპისკოპოსმა სლავიანურ ენაზედ წირვა-ლოცვის ასრულება აკრძალა, ეკლესიებში არავინ დადის. ვოდიცის თემში ბავშვებს ნათლავს და მიცვალებულს ასაფლავებს მამასახლისი. დობრინში (დალმაცია) რომ ხალხი ეკლესიებში მიეყვანათ ეპისკოპოსის განკარგულებით აღადგინეს საშუალო-საუკუნოების მისტერიები, რომლებსაც ბავშვები ასრულებენ. თვითეულ შემთხვევაში ეკლესიები სულ სავსეა ხალხით.

**ტოკიო**. დიიწყო პარლამენტის სხდომები. მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა: სახელმწიფოებთან კარგ განწყობილებაში ვართ. ინგლისთან დადებული კავშირი უფრო განმტკიცდა. ჩინეთთან ყველა საკითხებში შევთანხმდით. მთავრობა ყოველთვის სცდილობდა, რომ მანჯურიაში ღია კარების პრინციპი დაეცვა. მე ვფიქრობ, სახელმწიფოები დარწმუნდნენ, რომ ჩვენ მანჯურიაში გულწრფელად ვმოქმედებთო.

**ნიუ-იორკი**. ხორცის გაძვირების გამო ხორცის ბოიკოტის მომხრეებს დღითი-დღე ემატება. ამერიკაში მილიონ კაცზე მეტმა ბოიკოტი გამოუცხადა ყასბებს. სოსტანში ხორცის ბოიკოტის მომხრეებმა დიდი კრება გამართეს. ბოიკოტის მომხრეები ბევრსა სცდილობენ, რომ ნიუ-იორკის მცხოვრებლები მიიმხრონ.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ: უმაღლესად დამტკიცდა 1909 წელს, 2 ოქტომბერს ამერიკელ და ინგლისელ კაპიტალისტებს და მანჯურიის, ვიცე-კოროლის შორის დადებული ხელშეკრულება ცჩინ-ჯოუ-აიგუნის რკინის გზის შესახებო.

**ნიუ-იორკი**. ონტარიის ტბის ახლო ლიანდაგიდან გადავარდა. სამგზავრო მატარებელი. ოთხი ვაგონი წყალში გადავარდა. ერთ ვაგონს ცეცხლი გაუჩნდა. მოკვდა 48, დაიჭრა 92 კაცი. დაღუპულთა შორის ზოგი დაიწვა, ზოგი დაიხრჩო.

**კლივლენდი**. 30,000 კაცმა ყასბებს ბოიკოტი გამოუცხადა. მთავრობას განზრახული აქვს ხორცის ტრესტი სამართალში მისცეს.

**ბუდაპეშტი**. დეპუტატთა პალატის ფრაქციების ლიდერებს თათბირი ჰქონდათ, თუ რა დამოკიდებულება იქონიონ ხედერვერის სამინისტროსთან, ლიდერები ვერ შეთანხმდნენ. კოშუტმა განაცხადა: თუ მინისტრ-პრეზიდენტი ახალ არჩევნებს დანიშნავს, მაშინ მე მომხრე ვარ დავამტკიცოთ დროებითი ბიუჯეტიო. გრაფმა ანდრაშიმ სთქვა, ჩემ პარტიას საკუთარი გადაწყვეტილება არ მიუღია თუ რა დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ ახალ სამინისტროსთანაო. იესტმა კრება მიატოვა, მე მსურს გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყოსო.

**ტოკიო**. იაპონიის პრესა აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ რუსეთმა იაპონიასთან ერთად არ შეიწყნარა შეერთებულ შტატების წინადადება მანჯურიის რკინის გზების გამოსყიდვის შესახებ და სწერს, ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთი და იაპონია ერთმანეთს დაუახლოვდებიანო.

**პარიზი**. დილით პარიზის მეტეოროლოგიურ სადგურის სეისმოგრაფმა აღნიშნა, ძლიერი მიწის-ძვრა 3,000 კილომეტრის მანძილზე. ჰფიქრობენ, რომ მიწის-ძვრა კავკასიაში უნდა მომხდარიყოს.

### ჰაერში ფრენა

**შალონი**. რესი ჰაერში მფრენავი ეფრემოვი ერთ საათში 63 კილომეტრს გაფრინდა.

### სპარსეთი

**თავრიზი**. ტყუილი გამოდგა ის ცნობა, ვითომ ურმიის ტბაზედ დაღუპულიყოს ნავთიან მოტორიანი ბარკასი. ბარკასი მხოლოდ დაზიანდა და შეკეთების შემდეგ ტბაზედ ჩვეულებრივად მიდის-მოდის.

**თეირანი**. ფარსის გუბერნატორი სახანუდ-დოულე სამსახურიდან დაითხოვეს. მის ადგილზედ დანიშნეს პრინც ფერმან-ფერმი.

### რუსეთი

**პეტერბურგი**. ადმინისტრაციის განკარგულებით სცენაზედ წარმოსადგენად აკრძალეს ლ. ანდრეევის პიესა „ანათემა“.

**იაროსლავლი**. ოლქის სასამართლომ გაარჩია 26 კაცის საქმე. ჰბრალდებოდათ 1905 წელს ებრაელების აწიოკება. სასამართლომ გადაუწყვიტა: ხუთს წელიწად ნახევარი ტუსაღთა განყოფილება (თითოს), ცხრას სხვა და სხვა ვადით სატუსაღო (2—8 თვემდე) და 12 გაამართლა.

**გროზნი**. დილის 3 საათზედ შეიარაღებული ბოროტგანმზრახველები თავს დაეცნენ სადგურს. ბოროტგანმზრახველებმა სასიკვდილოდ დასჭრეს ორი საერობო დარაჯი, გაიტაცეს 18,000 მანეთი და მიიმალნენ.

**პოლტავა**. საშობაო კანიკულების შემდეგ სემინარიაში მიიღეს 62 დათხოვნილი მოწაფე.

**პეტერბურგი**. საღამოს 5 საათზე ორი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა კუზნეცოვის სარდაფს. ბოროტ-განმზრახველებმა გაიტაცეს დღიური ნავაჭრი და ეტლით გაიქცნენ. მათ დაედევნა დარაჯი. ბოროტ-განმზრახველებმა სროლა აუტეხეს დარაჯს, მაგრამ უშედეგოდ. დააპატიმრეს ერთი, გაიქცა მეორე ბოროტ-განზრახველი.

**ჰელსინგფორსი**. სასამართლო პალატამ დაადგინა საგერბო გადასახადის საკითხის გადაწყვეტა მომხსენებლებს გადასცეს, რომლებმაც დაადგინეს განაჩენები უბრალო ქაღალდზე დასწერონ და მსურველებს ისე მისცენ.

**კიევი**. გერმანელების ქუჩაზედ პოლიციელები შეეცადნენ ორი საეჭვო პირის დაპატიმრებას. ბოროტგანზრახველებმა მოჰკლეს ერთი პოლიციელი და მიიმალნენ.

**კალუგა**. სოფელ ვორში უცნობმა ღვთისმშობლის ხატის სამოსელს ააცალა ბრილიანტის ყვავილი, 1000 მანეთად ღირებული. ქურდი ვერ აღმოაჩინეს.

**ახალი ბუხარა**. სუნიტებს და შიიტებს სარწმუნოებრივ ნიადაგზედ ჩხუბი მოუვიდათ. მოჰკლეს რამდენიმე კაცი. სულ ერთიანად აიკლეს რამდენიმე მაღაზია. ჩხუბი ასტეხეს მედრესეს სტუდენტებმა, რომლებიც ქუჩებში დადიან და სპარსელებს და შიიტის მიმდევარ მოხელეებს იძებენ. ბუხარის მთავრობამ წესიერების აღსადგენად საჭირო ზომები მიიღო.

# შ ა ვ ი - ქ ვ ა

(დასასრული *)

მრეწველთა კრება მრეწველობის პროფესიონალური კავშირია. მართალია, ამ ბოლო დროს რამდენიმე ათასს მუშას მისცეს სამი წარმომადგენლის ადგილი და ისიც სათათბირო ხმით, მაგრამ ეს სრულიადაც არ უკარგავს კრებას კლასიურ ორგანიზაციის ელფერს. საბჭო ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოა. კრება უმეტეს ნაწილად წვრილ მრეწველებისაგან შესდგება. მათი გავლენა კრებაზე დიდია. ყოველი საკითხი, კრებაზე აღძრული, წვრილ მწარმოებლების სურვილის თანახმად სწყდება. მართალია, მსხვილ ფირმებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ კრებაზე, მაგრამ ისინი უფრო ხშირად განზე სდგანან. მათ სრულიად არ აინტერესებთ ისეთი საკითხები, რომელიც კრებაზე იძვრება და რომელსაც ჩვენთვის, ქართველებისათვის, აქვს მნიშვნელობა. ასეთი საკითხებია გიმნაზიების და პროგიმნაზიების დაარსება, სამოქალაქო სასწავლებლის შენობის აგება, სტიპენდიების დანიშვნა და სხვა. კრება მთელ თავის სხდომებს პლატფორმებისა და ვაგონების დატვირთვის რიგის განაწილებას ანდომებს, მაგრამ უცხოელ ფირმებს არც ეს საკითხები აინტერესებთ: ისინი კარგად ახერხებენ, რომ ვაგონების დატვირთვის ნებართვა მთავრობისაგან „თხრედის“ გარეშე მიიღონ და ამნაირად მთელ კრებას ყირამალა აყენებენ. ტარიფის შესახებ საკითხი დიდი ხანია აღიძრა კრებაზე. მინისტრებთან ბევრი დეპეშა და დეპუტაცია გაიგზავნა, მაგრამ საქმეს დღემდე ვერაფერი ეშველა. ბაქოს მრეწველებმა მოახერხეს და მთავრობის დახმარებით გაიყვანეს ბაქოდან ბათუმამდის pipe-ligne-ი (მილი) ნავთის გადასაზიდად. თვით რუსეთშიაც უცხოელი ინდუსტრიალები ახერხებენ მთავრობის გულის მოგებას და მრეწველობის პირობების გაუმჯობესებას — მხოლოდ ჭიათურელ მრეწველთათვის გადიქცა შეუძლებელ საქმედ ტარიფის დაკლება.

ამისთანა დიდ მრეწველობაში, როგორიც ჭიათურის წარმოებაა და ამასთან ასეთ პრიმიტიულ ნიადაგზე დაყენებული, აუარებელი საკითხია ტეხნიკური, კომერციული, ეკონომიური და სხვა, რომელიც მოითხოვს შემუშავებას და განხილვას. ჩემის აზრით, [illegible] შავი-ქვის მრეწველობა იმით, რომ საქმის [illegible] შორის სპეციალისტები სანთლით საძებარნი არიან. ხშირად ინჟინრები სასწავლებელში ლათინური ენის მასწავლებლობას კისრულობს, ხოლო შავი ქვის მრეწველობაში ინჟინერს ვერა ნახავთ. დიდი საქმის გაკეთების სურვილი და უნარი შეიძლება გვქონდეს, მაგრამ უცოდინარობის გამო საქმეები გვეღუპება. ყოველი დიდი საქმის გაკეთება დღეს მოითხოვს თეორეტიულს და პრაქტიკულს ცოდნას და სპეციალიზაციას. არა გვყავს ეს სპეციალისტები და თუ გვყავს, ისინი სხვა საქმეს ეპოტინებიან.

რა ზომებია საჭირო ჭიათურის მრეწველობის ასე თუ ისე რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად? ზოგიერთი ზომა ჩვენ ვეცადეთ დაგვესახელებინა და ეხლა ვეცდებით რეზიუმე გავაკეთოთ:

1. **ტრანსპორტი:** ჭიათურის ტარიფის დაკლება ნორმალურ ტარიფამდის; ფართო ლიანდაგიან გზის გაყვანა ჭიათურიდან რკინის გზის მთავარ მაგისტრალამდის ან ჭაეროვან გზის გაყვანა ჭიათურიდან მთავარ მაგისტრალამდის. აქ ვერ გადავწყვეტთ, ჭიათურა რომელ სადგურს უნდა შეუერთდეს — შორაპანს, ზესტაფონს, აჯამეთს თუ რიონს. ამ საქმის შესწავლა ადგილობრივ სპეციალისტებს უნდა მიენდოთ; მექანიკური „სპუსკები“ და [illegible]როვანი გზები მაღაროებიდან ჭიათურისა და ჭიქორის პლატფორმებამდის; მექანიკური დატვირთვა და გადატვირთვა ჭიათურასა და ფოთში.

2. **წარმოების საშუალებები:** ქვის დამუშავება გაუმჯობესებულ საშუალებებით; ქვის გარჩევა, გაწმენდა და გარეცხვა მექანიკურად; ამისთვის საჭიროა რამდენიმე ან ერთი ცენტრალური გასარეცხი ქარხანა; ქვის ანალიზი — ამისთვის საჭიროა ერთი ცენტრალური ქიმიური ლაბარატორია; ჰიდროელექტრონული სადგური — ამისათვის გამოყენებულ უნდა იქმნას ისეთი მდინარე, როგორიც ყვირილაა ან მახლობლად მდებარე წყლის ჩანჩქერები; ელექტრონული ძალა ყველა მაღაროში უნდა იყოს გამოყვანილი მაღაროების გასანათებლად, მეხანიკურ ტრანსპორტის და გასარეცხ ქარხნების საჭიროებისთვის და სხვა; წყლის გაყვანა მილებით ყველა მაღაროებში მათ საჭიროებისთვის (დღეს ერთ დიდ ფირმას, ჩვენ ვიცით, 150 მანეთი ეხარჯება თვეში წყლის მიტანაზე მაღაროებში კოკებით; მილებით გაყვანა [illegible]. რადგან ეხლაც ჰპარავენ წყალს მეზობელ მაღაროებიდან); დასურული პლატფორმები ქვის დასაწყობად. გეოლოგიურ ქარტის შედგენა ჭიათურის და მთელ შორაპნის მაზრისა, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ჭიათურის ნაწარმოებს.

3. **მუშაობის ორგანიზაცია:** უნდა მოისპოს „პოდრიადჩიკებისაგან“ ქვის დამუშავება; მუშები თვით მრეწველებისაგან უნდა იყვნენ დაქირავებულნი; მუშაობა სამთო-მადნო სპეციალისტების ზედამხედველობით უნდა სწარმოებდეს; მუშებისთვის მაღაროებთან ჰიგიენური ბინები უნდა მოეწყოს (ქვითკირის აშენებული ყაზარმები); მუშების დაზღვევა, დაშავებულ მუშების დაჯილდოვება საბჭოსგან, კასსები და სხვა.

4. **კომერციული ორგანიზაცია:** უნდა მოისპოს ქვის გასაღება ჩარჩებისა და ექსპორტერების დახმარებით როგორც ჭიათურაში, ისე ჭიათურის გარეთ; ამისათვის საჭიროა მსოფლიო ბაზრის შესწავლა რეგულიარულად; ხან და ხან უნდა იგზავნებოდეს სპეციალისტი ევროპაში ბაზრის შესასწავლად; საჭიროა პერიოდიულ ჟურნალ-გაზეთში ფართო, სამრეწველო და საკომერციო დარგისა; ჭიათურაში ბირჟის დაარსება, სადაც საბჭო — თვეში რამდენჯერმე ბიულეტენების საშუალებით მრეწველებს შეატყობინებს ბაზრის ვითარებას; იაფი კრედიტი; საჭიროა მრეწველების მიერ **სააქციონერო საზოგადოების** დაარსება ნაწარმოების გასაუმჯობესებლად; შემდეგ ამ საქციო საზოგადოებების სინდიკატად შეერთება ქვის გაყიდვის მოსაწესრიგებლად მსოფლიო ბაზარზე და სხვა.

5. **სწავლა განათლება:** გიმნაზიის მაგივრად სამრეწველო სკოლის დაარსება ჭიათურაში სამის წლის კურსით რუსეთისა ან ევროპიულ ტიპის სამთო-მადნო და ელექტრო-მექანიკურ განყოფილებებით, შეიძლება ქიმიურითაც. ჭიათურის სამოქალაქო და ნორმალურ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულებს უნდა შეეძლოთ სწავლის გაგრძელება ამ მეტის-მეტად სასარგებლო სკოლაში. სკოლასთან უნდა დაარსდეს **პროფესიონალურ** მუშებისათვის მოსამზადებელი კურსები.

ზოგიერთი აქ ჩამოთვლილ ზომის განხორციელება დიდ-შემოსავლიან წყაროს გაუჩენდა საბჭოს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ ზომების განხორციელებას დიდი დაბრკოლებანი გადაეღობებიან წინ როგორც მთავრობის ისე თვით მრეწველების მხრივ, მაგრამ ამ დაბრკოლებებზე აქ არაფერს ვამბობთ. მრეწველთა კრება უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მეტი სპეციალისტი მიიზიდოს საბჭოში. [illegible] საკუთარი ინჟინერიც არა ჰყავს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ინჟინერ-კონსულტანტს ან მრჩეველს, რომელიც სხვა დაწესებულებაში მსახურებს. სამუშაო კი საბჭოს ბევრი აქვს. ჭიათურა უნდა დაიყოს ორ ან სამ რაიონად. თითო რაიონს უნდა განაგებდეს საბჭოს თითო სპეციალისტი. მათი მოვალეობა იქნება საბჭოს ყოველ-ნაირ ტეხნიკურ სამუშაოს ზედამხედველობა, მრეწველების რჩევა-დარიგება; მათ მაღაროებში მუშაობის ზედამხედველობა; ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ ქარტების შედგენა და სხვა. ასეთი სპეციალისტები წვრილ მრეწველებისათვის ინსტრუქტორები იქნებიან.

აი, ჩვენი აზრი ჭიათურის წარმოებაზე.

Mineur.

*) იხ. „დროება“ N 6

# ა ღ ზ რ დ ი ს მ ი ზ ნ ე ბ ი

(დასასრული *)

**5.**

ესთეტიური განათლება, როგორც ზევით დავინახეთ, თხოულობს ინტელექტუალურ განათლებით შევსებას. ეს უკანასკნელი-კი ჯერ კიდევ უძლური რჩება, ადამიანის ყველა მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიოს. იგი ცალმხრიობას იჩენს და ადამიანის მოქმედების სახეს, მაგალითად, არა თუ არა სწყვეტს, არამედ სპობს კიდეც ყოველ მოქმედებას. ეს გონების განვითარების ერთ-ერთი უარყოფითი მხარე იყო. ამიტომ აქ იბადება საკითხი, თუ როგორ შეიძლება აღმზრდელმა გვერდი აუხვიოს ამ უკუღმართობასა. როგორ შეიძლება მან გონების განვითარებასაც ყურადღება მიაქციოს და იმავე დროს ადამიანის ბუნების მესამე მოთხოვნილებას, მისი **მოქმედების სამართლიანობასაც** ანგარიში გაუწიოს. ამ რიგად აქ ახალი საკითხი იბადება, საკითხი, თუ როგორ არის შესაძლებელი ადამიანის ბუნების მესამე ღირებულების, **მორალურ** მოთხოვნილების დაკმაყოფილება; როგორ არის შესაძლებელი, მისი განვითარების ზრუნვის ინტელექტუალურ განათლების ლტოლვასთან შერიგება და შეერთება. ქვევით რამდენიმე სიტყვით შევეხებით მორალურ ღირებულების დამოუკიდებლობის საკითხს, აქ-კი მხოლოდ უკვე მოყვანილ საკითხის პასუხის გამოაშკარავებას შევეცდებით.

ჰერბარტის აზრით, მორალური განვითარება ერთად-ერთი მიზანია აღზრდისა. განათლება საშუალებაა, რომელიც ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ზნეობრივი ადამიანი იდეალური ადამიანია. ასეთია ბოლოს და ბოლოს ჰერბარტის პედაგოგიური მსოფლთ-მხედველობა. იგი დარწმუნებული იყო, რომ აქ არავითარ გადაუჭრელ საკითხს არა აქვს ადგილი. იმისთვის ჩვენი პრობლემა არ არსებობდა. მაგრამ იგი სცდებოდა მრავალ მხრივ. ჯერ ერთი, მას ავიწყდებოდა ადამიანის რთული ბუნება და მას მხოლოდ მორალურ ღირებულებით ფარგლავდა. ეს კი შემცდარი შეხედულებაა. უკვე დავამტკიცეთ, რომ ადამიანის არსი უფრო მდიდარია, რომ მას ინტელექტუალური, ესთეტიური და რელიგიოზური მოთხოვნილებანიცა აქვს (იხ. პსიხიკის ანალიზი ზევით). მეორე კიდევ ის, რომ მორალურ განვითარებას თავის ფრიად დიდ მნიშვნელობასთან ერთად ბევრი უმნიშვნელო და მავნე მხარეცა აქვს. ჩვენ არ შევჩერდებით ზნეობრივ განათლების ნათელ-მხარეების გამოკვლევაზე და ამიტომ პირდაპირ შემომფარგვლელ თვისებათა გამოაშკარავებას შევუდგებით.

1. ყველასათვის ნათელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში პირდაპირ დამოუკიდებელი მოქმედება, **ტაქტი**. მაგრამ იგი შეუძლებელი ხდება, როგორც კი გადასწყვეტს რომელიმე ადამიანი მხოლოდ მორალურ მოტივებით მოქმედებას. ცალ-მხრივი გატაცება ზნეობრიობით ხშირად წარმოშვებს უმოქმედობას, ჰკლავს ინიციატივის უნარს, ვინაიდან მორალურ მოტივთა რიცხვი უთვალავია, და ამიტომ შესაძლებელია ერთი მოტივი მეორეს დაუპირდაპირდეს და ბრძოლა მათ შორის გადაუწყვეტელი დარჩეს. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ მაშინ იქცევა მოქმედებად, თუ ადამიანი უკუ-აგდებს ამ მოტივებს და **ტაქტს** მიმართავს, ტაქტს, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს მორალურ არგუმენტებთან. უტაქტო ადამიანი კი ისევ შეპოჭილ რჩება მორალურ მოტივთა შორის ამტყდარ ბრძოლით და უძლური ხდება, რაიმე აქტივობა გამოიჩინოს. მხატვრული ლიტერატურა მდიდარია ისეთის ტიპებით, რომელთათვის მხოლოდ მორალური თვალ საზრისი არსებობს, და პირდაპირი, დამოუკიდებელი მოქმედება მკვდარია. იგი ნათლად გვიხატავს, თუ რამდენად საცოდავია მორალურის სენით შეპყრობილი პიროვნება. ასეთ მორალურ სენს კი ყველაზე უფრო ადვილად ცალმხრივი მორალური განვითარების კულტი წარმოშვებს. ტაქტის დაჩლუნგება და დაუძლურება პირველი უმნიშვნელოვანესი სენია მორალურ განათლებისა.

2. მორალური განვითარება ხშირად ასუსტებს გრძნობათა პირდაპირობას. აქედან-კი წარმოიშვების პსიხიური სიმახინჯე და ცალმხრიობა ადამიანისა. იმისთვის უმნიშვნელო და გაუგებარი ხდება ხელოვნება, რომელიც, რასაკვირველია, სულ სხვას ემსახურება, ვიდრე მორალს.

3. ისტორიული განვითარება ხშირად წინააღუდგება ხოლმე ინდივიდუალურ მორალურ მაქსიმებს. ამიტომ გადამეტებული კულტი მორალისა ადვილად აამხედრებს ადამიანს ისტორიულ წინსვლის წინააღმდეგ. მკვლელობა თავის თავად უზნეობაა, მაგრამ იგი ხშირად მოთხოვნილებად იქცევა კაცობრიობის კულტურულ განვითარებისათვის. ამიტომაცაა, რომ ხშირად რევოლიუცია რეაქციონერთა ბანაკში ისვრის ბევრ კულტურის მყუდრო მუშაკს: მათი მორალური გრძნობა შეურაცყოფილად სთვლის თავს, როდესაც რევოლიუციონური მოძრაობა მრავალ ადამიანს, ხშირად უდანაშაულოს, იმსხვერპლებს ხოლმე.

ამგვარად, მორალური განათლებაც ორმხრივი ხდება. იგი ამიტომ ვერას დროს ვერ შეადგენს აღზრდის ერთად-ერთ მიზანს. მისი აუცილებლობა და მისი მრავალი დადებითი მხარე კი სასურველს ჰყოფენ მის კულტს აღზრდაში. ამიტომ იგი აღზრდის მხოლოდ ერთ-ერთ მიზნად უნდა იქმნას აღიარებული. აღმზრდელის დიად მნიშვნელოვანი მიზანი მორალურ პიროვნების შემუშავებაა, მაგრამ განა მხოლოდ მორალურისა? ეს რომ ასე იყოს, მისი აღზრდითი ზრუნვის შედეგი მრავალ მხრივ, სიმპატიურ და აქტიურ პიროვნების მაგიერ ერთმხრივი, მახინჯი და პასსიური არსება იქმნებოდა.

ადამიანის არსში მეოთხე შინაური ღირებულებაც არსებობს. ეს არის რელიგიოზური მოთხოვნილება. უკანასკნელად ამას შევეხებით და ვეცდებით გავარკვიოთ, თუ რამდენად აუცილებელია აღმზრდელმა ეს დამოუკიდებელი ღირებულება ადამიანის ბუნებისა მხედველობაში მიიღოს, მას ასეთი თუ ისეთი ანგარიში გაუწიოს. ზოგად ფილოსოფიურ მოსაზრებათაგან არის დამოკიდებული ჩვენი ასეთი თუ ისეთი ურთიერთობა რელიგიისადმი. არსებობს თუ არა იგი, როგორც აუცილებელი, დამოუკიდებელი ღირებულება ადამიანის ბუნებისა? არსებობს თუ არა რელიგიოზური მოთხოვნილება აუცილებლად, როგორც ნიშანდობლივი თვისება ადამიანის პსიხიკისა, როგორც პირველ-ყოფილი, ძირითადი და აღმოუფხვრელი მოთხოვნილება? აი, ის საკითხი, რომელსაც მხოლოდ ჩვენი ზოგადი ფილოსოფიური მსოფლ-მხედველობა გადასჭრის. აქ მხოლოდ მოკლედ შევეხებით ამ საკითხს, რომ ცოტათი მაინც ნათელ-ვყოთ ჩვენი შეხედულება რელიგიის არსის შესახებ. ადამიანის პსიხიკა მრავალ-მხრივია, მაგრამ რამდენადაც იგი შემომქმედია და ამიტომ აბსოლუტი, იმდენად იგი შეუზღუდველია, დროულ და ვრცეულ შემოუფარგლელი. მისი აქტიური გონება უწინარეს ყოვლისა აბსოლუტური ელემენტია მის პსიხიკაში. გონების საშუალებით იგი მიილტვის, — არსებული აბსოლუტი, რომლის სინამდვილეც მისთვის აუცილებელი პოსტულატუმია და ამიტომ ექვს გარე მდგომი, — შემეცნებულ-ჰყოს, მისი გონებისათვის საჭვრეტად აქციოს. ეს ლტოლვა არსებულ აბსოლუტის შემეცნებისადმი ლტოლვაა თვითონ მისი გონების გააბსოლუტებისა, ამიტომ იგი ლტოლვა, როგორც მეცნიერება, **მეტაფიზიკაა**. ამავე არსებულ აბსოლუტისადმი სხვანაირად შეიძლება მისწრაფება: არა მარტო გონება, არამედ ადამიანის **ნებაც** უდგება მას ასეთ თუ ისეთ ურთი-ერთობაში. ეს ნებითი ურთიერთობა საფუძველია, რომელზედაც აღმოცენდების **მორალი**.

მაგრამ ადამიანის პსიხიურ ცხოვრებაში მესამე მიმდინარეობაც არის და ამისდა მიხედვით მესამე ურთიერთობაც არსებულ აბსოლუტისადმი. ეს მესამე მიმდინარეობა **გრძნობაა**, და, მაშასადამე, იგი მესამე ურთიერთობაც აბსოლუტისადმი — ურთიერთობაა გრძნობასა და არსებულ აბსოლუტს შორის.

ადამიანი ჰქმნის ამგვარად აბსოლუტს. ამ შემოქმედების წყარო და იმავე დროს ორგანო — მისი პოტენციალურად აბსოლუტური გონებაა. იმავე გონებით მას სურს იგი აბსოლუტი შეიმცნოს; მაგრამ არა მარტო იმცნობს იგი მას, არამედ წარმოიდგენს ასეთ თუ ისეთ დამოკიდებულებაში თავის ნებასთან. აქ მორალი იბადება, როგორც უკვე ვსთქვით. მაშასადამე, აუცილებლობა მორალურ მოთხოვნილებისა აუცილებლობაა ამ ურთიერთობისა. იგი ისევე ნამდვილია, ისევე დამოუკიდებელია, როგორც იგი ურთიერთობა. იგივე აბსოლუტის მოქმედება ადამიანზე მჟღავნდება მესამე ნაირათაც: მასში იბადება **გრძნობა პირდაპირ დამოკიდებულებისა** აბსოლუტისაგან (das jefühle der schlechthininen Abhängigkeit), გრძნობა საკუთარ ამაოებისა, არარაობისა აბსოლუტთან შედარებით. აი, სწორედ ასეთი გრძნობა პირდაპირ დამოკიდებულებისა არის

*) იხ. „დროება“ N 6.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **მთავრობის მამასახლისების გადაყენება კახეთში.** იანვრის პირველ რიცხვებში ყველა სოფელში, სადაც კი მთავრობის მამასახლისები იყვნენ, გადააყენეს ეს მამასახლისები და მათ მაგიერ ისევ ამორჩეული მამასახლისები დააყენეს, როგორც წინად იყო.

✦ **თავისი ვერ გაიტანეს.** როგორც ვიცით, ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დღეები ზუბალაშვილის სახალხო თეატრში დაუთმო ახლად შემდგარ წრეს, სადაც სცენის-მოყვარენი არიან და არა სახალხო უნივერსიტეტს. ეს დადგენილება საზოგადოებისა უნივერსიტეტის გამგეობამ განასაჩივრა ქალაქის გამგეობაში და სთხოვა დღეებით სარგებლობის უფლება ჩამორთმეოდა დრამატიულ საზოგადოებას და გადასცემოდა უნივერსიტეტის სექციას. ამ საქმის განხილვას ქალაქის გამგეობამ და ზუბალაშვილის სახალხო სახლის გამგე-კომისიამ ორი სხდომა მოანდომა. პირველ სხდომაზე მიიწვიეს წარმომადგენელნი დრამატიულ საზოგადოებისა, უნივერსიტეტისა და წრისა. უნივერსიტეტის წარმომადგენელნი თხოულობდნენ, დღეები უნივერსიტეტის სექციას გადასცემოდა. წრესა და დრამ. საზოგადოების წარმომადგენელნი კი, პირიქით, საჭიროდ სცნობდნენ, დღეები კვლავ დრამატიულ საზოგადოების ხელში დარჩენილიყო, რომ ამ დღეებით წრის სცენის-მოყვარეებს ესარგებლნათ. [illegible] იანვარს ქალაქის გამგეობასა და სახალხო სახლის კომისიის შეერთებულმა სხდომამ გაითვალისწინა მთელი საქმის ვითარება და სახეში მიიღო რა: 1. რომ დღეების არსებული განაწილება წარმოდგენებისათვის ზუბალაშვილის სახალხო სახლში 8 სექციის შორის შეძლებას არ აძლევს კომისიას სამ დღეზე მეტი დაუთმოს ქართულ წარმოდგენებს და სახალხო უნივერსიტეტსაც მისცეს თვეში სამი დღე; 2 რომ აღნიშნულ დღეების გადაცემა სახალ. უნივერსიტეტზე შეიძლება მხოლოდ იმ პირობით თუ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ჩამოერთმევა სამი დღე და 3. რომ სახალხო სახლის მართველ კომისიას, რომელიც დაინტერესებულია წარმოდგენების კარგად მოწყობაში და რომელიც ჰხედავს რომ ქართული დრამატიული საზოგადოება პირნათლად ასრულებს ამას, სულ ერთია ვისი დახმარება-შუამავლობით, არავითარი საბუთი არ აქვს უნდობლობა გამოუცხადოს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, დაადგინა, რადგან სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა, დრამატიულ საზოგადოებისა და სახალხო წარმოდგენების მართველ წრის შორის ჩამოვარდნილ ურთიერთობაში არა სჩანს არავითარი ისეთი ნიშანი, რაც ჰბადებდეს შიშს ქართულ სახალხო წარმოდგენების შეფერხებისას, ამიტომ თვეში სამი დღე სახალხო წარმოდგენების გასამართავად დასტოვოს ჯერ-ჯერობით ისევ ქართულ დრამატიულ საზოგადოების განკარგულებაში.

✦ **ექსარხოსის ჩამოსვლა.** როგორც ხმა დადის, საქართველოს ახალი ექსარხოსი ტფილისში ჩამოვა იანვრის უკანასკნელ ან თებერვლის პირველ რიცხვებში.

✦ **ტერორისტის მოკვლა.** გაზეთების სიტყვით, ხაშურში სტრაჟნიკებს მოუკლავთ ეფრემ ანანიაშვილი, რომელსაც ჰბრალდებოდა იუზბაშევის, ხარაზოვის და ფეფელოვის გატაცებაში მონაწილეობის მიღება.

✦ **სტუდენტების ექსკურსია.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: კიევის სტუდენტების ექსკურსია, რ[illegible]ელიც [illegible]ვიდან [illegible] გამოვიდა 16 დეკემბერს, სხვა და სხვა მიზეზისა გამო, ტფილისიდან გაემგზავრება 15 იანვარსკი არა, როგორც გაზეთებში იყო გამოცხადებული, არამედ 16 იანვარს ღამის 11 საათ. და 40 წუთ. საფოსტო მატარებლით, № 4, ექსკურსანტებს სთხოვენ სადგურზე შეიკრიბნენ $10\frac{1}{2}$ საათზე.

✦ **ჟურნალის დაგვიანება.** „საქ. მოამბის" რედაქცია გვთხოვს დავბეჭდოთ: „რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო „საქ. მოამბე" კვირის მაგივრად გამოვიდა ორშაბათს, 11 იანვარს".

✦ **ტატიანას დღესასწაული.** დღეს „ტატიანას დღესასწაულია" 1755 წელს 12 იანვარს დაარსდა რუსეთში პირველი უნივერსიტეტი—მოსკოვისა. მთელი რუსეთის სტუდენტობა დღესასწაულობს ამ დღეს საღამოები გაიმართება ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. აქაც ტფილისში, სახაზინო თეატრში დღეს იმართება საოპერო წარმოდგენა, ხოლო „კრუჟოკში"—დივერტისმენტი და ცეკვა. წმინდა შემოსავალი გადაიდება კავკასიელ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

✦ **სენატორი ვატაცი ხონში.** როგორც ხონიდან გვატყობინებენ, 10 იანვარს გუბერნატორის სლავოჩინსკის თანხლებით ხონში ჩასულა ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი. ვატაცის დაუთვალიერებია ხონის სასწავლებლები. შემდეგ ხონის მცხოვრებლებთ სადილი გაუმართავთ. სადილზე ბევრი სიტყვა წარმოუთქვამთ.

✦ **კონტრ-აგენტის დაჯარიმება.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში განათება ძალიან კოჭლობს. ოთხი წარმოდგენა გადაიდო, რადგან კონტრ-აგენტმა ელექტრონი ვერ მიაწოდა თეატრს. ამის გამო ქალაქის გამგეობამ რვა ინვარს დაადგინა, დააჯარიმოს სახალხო სახლის განათების საქმის მოიჯარადრე 600 მან. ამ ფულიდან 400 მან. მიეცემა იმ საზოგადოებებს, რომელთა წარმოდგენებიც გადაიდო, 200 მან. ჩაირიცხება სახალხო სახლის შემოსავალში. თუ მოიჯარადრე არ გადაიხდის ამ ფულს, [illegible] ფულიდან გამო[illegible]ცხება.

✦ **სომხური დრამატიული საზოგადოება.** კვირას საარტისტო საზოგადოების დარბაზში, დიდძალი ხალხის თანადასწრებით, მოხდა საზოგადო კრება სომხურ დრამატიულ საზოგადოებისა. კრებას დაესწრნენ საპატიო წევრნი ალ. ი. მანთაშევი და გ. სანდუკიანცი. პირველად გამგეობამ წაიკითხა მოხსენება დრამატიულ საზოგადოების მდგომარეობის შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, საზოგადოება გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩამდგარა უფულობისა გამო. მოხსენების განხილვის დროს ორი საკითხი წამოაყენეს: 1. როგორ იქმნას უზრუნველყოფილი არსებობა სომეხთა დრამატიულ საზოგადოებისა, რომ შეეძლოს მართოს სისტემატიური წარმოდგენები და 2. რა წყარო გამონახონ დრამატიულ საზოგადოების გასაღონიერებლად. პირველმა საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ დაარსდეს მუდმივი ფონდი, საიდანაც შეიძლებოდეს ყოველ წლიურ დეფიციტების დაფარვა. სთქვეს აგრეთვე, რომ დრამატიული საზოგადოება უნდა შეეცადოს საკუთარ თეატრის აგებასაო. გამგეობის წევრმა მ. ა. ჯამარმა კრებას აცნობა, რომ 8 წლის განმავლობაში დრამატიულმა საზოგადოებამ 60,000 მანეთის შემოწირულება მიიღო, მაგრამ ამ ფულიდან გროშიც აღარ არის. ეს ფული, რომ ხელ-უხლებელ ფონდად გაგვეხადა, ჩვენი საზოგადოება ასეთ გაჭირვებაში აღარ ჩავარდებოდაო. კრებამ დაადგინა, არჩეულ იქნეს განსაკუთრებული კამისია და დაევალოს იმის გამორკვევა, ფონდი შესდგეს თუ საკუთარი თეატრი აიგოს. კომისიის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ალ ი. მანთაშევი, ხოლო წევრებად: არამიანცი, იუზბაშევი, კ. მ. ალიხანოვი, მ. ა. ჯაბარი, კნ. მ. მ. თუმანოვისა, ტერ-მარქაროვი და ნ. ა. აბელოვი, შემდეგ ლაპარაკი იყო იმაზე, თუ ამ ჟამად როგორ და რა წყაროდან აღმოეჩინოს დახმარება სომხურ დრამატიულ საზოგადოებას. კამათის დროს [illegible] სიტყვა მოითხოვა ბ-ნმა [illegible]ლ. მანთაშევმა და გა[illegible]ცხადა, დრამატიულ საზოგადოებას სამი წლის განმავლობაში მე 12,000 მანეთს მივცემ, მანამდე-კი შეიძლება განვახორციელოთ აზრი დრამატიულ საზოგადოების ნივთიერად უზრუნველყოფის შესახებაო. კრება ტაშის ცემით მიეგება მანთაშევის სიტყვას.

✦ **ტფ. პოლიცმეისტრის ბრძანება.** პოლიცმეისტერმა დაავალა ბოქაულებს, მეეზოვეების დანიშვნის დროს უსათუოდ იხელმძღვანელონ ხოლმე გენერ.-გუბერნატორის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების მე-7 მუხლით. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მეეზოვეებს კარგად ესმოდეთ რუსული ენა.

✦ **სამუსიკო საზოგადოებაში.** კვირას, 10 იანვარს, მოხდა ზუბალაშვილის სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოების წევრთა კრება. კრებას თავმჯდომარეობდა თავ. ალ. მ. არგუთინსკი. კრებამ მოისმინა დროებით გამგეობის მოხსენება საზოგადოების მდგომარეობის შესახებ, გაიცნო ახლად დამტკიცებული წესდება და დასასრულ აირჩია გამგეობის ახალი წევრები. გამგეობის წევრებად ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ: პ. პ. ფალიაშვილი, ი. გ. ტერ-დავიდოვი, ი. ი. რატილი, ალ. მ. არგუთინსკი, ა. პრევიტერი, ი. ალასოვი, კ. დიაჩენკო, თ. ი. დოლიძე და ა. თ. ვინჩენკო.

✦ **საღამო ბათუმში.** ნინოობა დღეს, 14 იანვარს ბათუმში წერა-კითხვის გამ. საზოგადოების ადგილობრივ სკოლის სასარგებლოდ გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო.

✦ **დაშავებულის გარდაცვალება.** მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების დროს დაშავებული ოლგა დობისნიუკი.

✦ **ნაციონალურ მუზეუმის აშენებელი კომისია.** ქართულ ნაციონალურ ბიბლიოთეკა მუზეუმის შენობის ამგებ კომისიაში წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობის წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ დ. კარიჭაშვილი, ალ. ყიფშიძე და პ. სურგულაძე. აღმაშენებელ კომისიის წევრებად, როგორც აღვნიშნეთ, კრების მიერ არჩეულნი არიან ნ. ელიავა, ს. კლდიაშვილი, და ჯორჯაძე, იპ. ვართაგავა და ვ. მუსხელიშვილი, ხოლო საისტორიო საეტნოგრაფიო საზოგადოებისაგან—ე. თაყაიშვილი, დეკ. კ. ცინცაძე და ალ. სარაჯიშვილი. აღმშენებელ კომისიის წევრთ პირველი სხდომა ექნებათ დღეს, 12 იანვარს, საზ. მთავარ გამგეობის სადგომში. კომისია ამ დღეს აირჩევს თავმჯდომარეს, მდივანს და შეიმუშავებს მოქმედების გეგმას.

✦ ამას წინად დაპატიმრებული ანტონ ყაზახაშვილი, რომელიც თავის ნებით ოლონეცკის გუბერნიიდან დაბრუნებულიყო, ხერსონის გუბერნიაში გადაასახლეს და შაბათს, 9 იანვარს უკვე გაგზავნეს.

✦ 9 იანვარს არუთინ პოლოსოვმა პოლიციაში განაცხადა, რომ მან 10 საათზედ დანით დასჭრა თავისი მეუღლის ძმის წული სალომე დეალანოვი, რადგან იგი გარყვნილ ცხოვრებას მისდევდაო. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც გამოირკვა, რომ დაჭრილის მორჩენა საეჭვოა. პოლოსოვი დააპატიმრეს.

✦ 9 იანვარს ლაზარევის ქუჩაზე პოლიციელებმა ნახეს სასიკვდილოდ დაჭრილი უცნობი კაცი 23 წლისა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. უცნობი აღმოჩნდა ბაგრატ არუთინოვი. მიზეზი მკვლელობისა და ვინაობა მკვლელებისა ჯერ—არ იციან. სწარმოებს გამოძიება.

✦ ჩხრეკის დროს მე-12 ნაწილში დააპატიმრეს—30, მე-11-ში—16, მე-5-ში—14 და მე-6 ნაწილში—35 უპასპორტო კაცი. ამავე დღეს დააპატიმრეს ალექსანდრე კუბალოვი, არშაკ ზალიევი და გრიგოლ საკრეჭაშვილი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულან.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **მკვლელობა.** კარგა ხნით დამშვიდებული ქუთათურები მეტად აალელვა საზიზღარმა მკვლელობამ. 8 იანვარს, დილის 11 საათზე, მიხეილის ქუჩაზე მოჰკლეს სვანეთის მთავრის შვილი ალექსანდრე დადეშქელიანი. მკვლელობა ამ რიგად მოხდა: მოკლული ამ დღეებში ჩამოსულა ქუთაისში ოზურგეთიდან, სადაც ტყის მცველად ყოფილა, და მიემგზავრებოდა თურმე სვანეთში თავის ძმის დასაფლავებაზე დასასწრებლად. გამგზავრების წინ, დილის 11 საათზე, თავის ქალთან ერთად იგი შესულა კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩაზე, გოკიელოვების სავაჭროს გვერდით, ავადმყოფ მეუღლის სანახავად. უკან გამოსვლისას დადარაჯებული მკვლელი კარებში დაჰხვედრია და ორჯელ უსროლია რევოლვერი ზურგში. დაჭრილი შემობრუნებულა. მკვლელს კიდევ მოუსწრია ორჯელ სროლა გულში და მსხვერპლიც წაქცეულა. დაჭრილი მალე გარდაიცვალა. ბოროტ-გამზრახველი უკვალოდ მიიმალა. პოლიციამ პირველში უთავ-ბოლობა გამოიჩინა, შემდეგ-კი გამოფხიზლდა და ეჭვით ბევრს აპატიმრებს. მოკლული დადეშქელიანი 40 წლისა იქნებოდა. მკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით არ იციან.

✦ **საღამო** 12 იანვარს ე. ნ. ხუჩინოვისა ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში გამართავს საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ღარიბ პირთა დამხმარებელ ადგილობრივი საზოგადოების სასარგებლოდ. ჩვენი სტუდენტების გაჭირვება ყველას კარგად მოეხსენება: მშიერ-მწყურვალნი, შიშველ-ტიტველნი უცხო ცივს ქვეყანაში

---

რელიგია. ეს ჩვენ პირველად შლაიერმახერმა დაგვიმტკიცა და ამით რელიგიის დამოუკიდებლობა ნათელჰყო. აქედან აშკარაა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის რელიგიოზური მოთხოვნილება; იგი დამოუკიდებელი, აუცილებელი ღირებულებაა ადამიანის არსისა ისე, როგორც აუცილებლად წარმოშვებს ადამიანის გონება აბსოლუტს და როგორც აუცილებელი ელემენტია ადამიანის პსიხიურ ცხოვრებაში **გრძნობა**, — სწორედ ისე აუცილებელია ურთიერთობა ამ უკანასკნელთა შორის. ეს ურთიერთობა კი საფუძველია რელიგიისა და რელიგიურ ლტოლვისა. აქედან აშკარად გამომდინარეობს ის ხასიათიც, რომელიც უეჭველად უნდა მიიღოს პედაგოგის ცდამ აღზრდის მოღვაწეობის დროს: იგი ისეთსავე ყურადღებას უნდა აქცევდეს რელიგიოზურ მოთხოვნილებას, როგორსაც ყველა სამ პირველ მოთხოვნილებას. ამას გარდა რელიგიას ბევრი ისეთი მხარეცა აქვს, რომელიც ფრიად სასურველად ხდიან რელიგიურ განვითარებას. განვიხილოთ იგინი.

1. ადამიანი, როგორც ინდივიდი, შემოფარგლული, შეზღუდული არსებაა. მისი მოღვაწეობის მიზნები კი მისი ინდივიდუალურ არსებობის ფარგლებს სცილდებიან, მისი ინდივიდუალობის ზღუდეთა ხშირად შეეჯახებიან და უსაზღვროსა და მარადიულისაკენ მიისწრაფიან. აქ ადამიანის შემცნობაში ორი საყურადღებო ფაქტი აშკარავდება: а) ადამიანი დროულია, მისი ძალა ვიწრო ინდივიდუალურ ფარგლებით შემოზღუდული. ამიტომ იგი ხშირად მარადისობისაკენ მიმართულ მოქმედებებს დაშორებულ და უცნობ მიზანს ვერ დაუპირდაპირებს, ვერ შეუსაბამებს. ამიტომ იმის შემცნობაში იბადება გრძნობა უძლურებისა, იგი მის ენერგიას აკოჭლებს და ბოლოს და ბოლოს ჰკლავს კიდეც. **გრძნობა უძლურებისა**. ამგვარად არის ის პირველი ფაქტი, რომელიც ადამიანის შემცნობაში მჟღავნდება. в) დროული და ვრცელი შეზღუდული არსება, ადამიანი ილტვის თავის შეზღუდულებას თავი დააღწიოს; იგი მიისწრაფის, ინდივიდუალური ფარგლები გადალახოს და, სოციალურ გრძნობებით ნახელმძღვანები, შემოქმედებს მარადისობისათვის. მაგრამ იგი, როგორც ინდივიდუალობა, დროულია. იმის არსებობას, ისე, როგორც იმის მოქმედებას, საბედისწერო ბოლო აქვს: ეს ადამიანისთვის აუხსნელი ამოცანა **სიკვდილის** ფაქტია. მაგრამ განა მარტო ადამიანის ბედია საბოლოო არარათქმნა, სიკვდილი? ჰკითხავს იგი თავის თავს. მეცნიერება პასუხს აძლევს: სიკვდილი აუცილებელი ბედია მთელის მსოფლიოსი; მარადისობა ცხოვრებისა ამიტომ მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი ხდება. მაშ რისთვის, რა მიზნისათვის მოქმედებს იგი? იჭვი ცხოვრების მარადისობაში, მის დაუსრულებლობაში ამგვარად მეორე ფაქტია, რომელიც ადამიანის შემცნობაში მჩილდება.

მაგრამ რით აწვევს ადამიანი თავს ამ ორ გრძნობის სიმძიმესა? რელიგია გრძნობაა დამოკიდებულებისა აბსოლუტისაგან, — მაშ გრძნობა, რომელიც აბსოლუტის არსებობას და ინდივიდის მასთან დამოკიდებულებას თავიდანვე გულისხმობს. ინდივიდი რელიგიაში უერთდება აბსოლუტს და იმის ყოვლის შემძლებელ არსში ჰპოულობს თავის **გაძლიერების** საფუძველს. რელიგია ამგვარად სპობს პირველს ფაქტს: **უძლურების გრძნობას**. ეს პირველი დადებითი მხარეა რელიგიისა.

2. მაგრამ იმავე დროს იგივე რელიგია მოუთხრობს ადამიანს, რომ ყოველმხრივი არარაობა წარმოუდგენელია, რომ არსებობს მარადიული აბსოლუტი და, მაშასადამე, მისი მოქმედება, როდესაც იგი თავის ინდივიდუალობის ფარგლებს სცილდება, უმიზნო არ არის, რომ იგი იმ ყოვლისშემცველ აბსოლუტისთვის არსებობს და იმას ემსახურება. ამგვარად, ადამიანის მოქმედებას მიზანი ესმება და მოღვაწეობა და ისტორია შესაძლებელი ხდება. ეს მეორე ნათელი მხარეა რელიგიისა.

ჩვენ აქ მხოლოდ ამ მნიშვნელოვან მხარეებით ვკმაყოფილდებით. ეხლა კი რელიგიურ ლტოლვის მეორე კატეგორიის თვისებებს, მის ბნელ მაარეებს შევეხებით ან კი ვინ არ იცის, რომ რელიგიას ბევრი ისეთი მხარეცა აქვს, რომელიც იმოდენად ძლიერი და მნიშვნელოვანია, რომ ბევრს ნათელი მხარეებიც დაავიწყებინა და ირრელიგიოზობა აქადაგებინა. ეს ირრელიგიოზობა ნიშანდობლივი თვისებაა ჩვენის ეპოქისა და ამიტომ საყურადღებოა იმ წყაროს აღნიშვნა, რომელმაც იგი დაჰბადა. ან კი ვინ არ იცის ნიცშე და მისი შეხედულება რელიგიაზე, ვინ არ იცის ის უკუღმართობა, რომელიც უკიდურეს რელიგიოზურ გატაცებას განუყრელად თანა სდევს, და ადამიანის კულტურის ანკარა მიმდინარეობას მღვრიე ნაკადად ურთდება. ჩვენ აქ, რასაკვირველია, როგორც ყველგან მხოლოდ მნიშვნელოვან მომენტებს აღვნიშნავთ, ვინაიდან უფრო დეტალიური გამოკვლევა იმ მხარეებისა, რომელნიც ჩვენ გვაინტერესებენ, ამ წერილის ფარგლებს სცდილდება.

1. რელიგიოზური ადამიანი დარწმუნებულია, თითქოს იგი ერთგვარ დამოკიდებულებაში იყოს აბსოლუტთან. სხვა და სხვა რელიგია სხვა და სხვანაირად წარმოიდგენს თავის აბსოლუტს. აბსოლუტი კი, როგორც ასეთი, სხვადასხვაობას ვერ ურიგდება აბსოლუტი ერთია, მისი განმეორება. სხვა სახით შეუძლებელია. ამიტომ ერთი რელიგია ვერ ურიგდება მეორეს; იგი დარწმუნებულია თავის შეუცდომლობაში და მხოლოდ თავის მოძღვრებაში ჰხედავს ნამდვილ ჭეშმარიტებას. ამიტომ სხვა რელიგია მისთვის ერთპაშად შეცდომაა და უაზრობა. აი სწორედ აქ იბადება ნიადაგი, რომელიც წარმოშვებს და ასაზრდოებს **რელიგიოზურ ფანატიზმს**. იგი პირველი უარყოფითი მხარეა რელიგიისა.

II. რელიგიური ლტოლვა ყოველს მსოფლიურს ამაოთ სახავს. ამიტომ მისი მოთხოვნილება სრული განძარცვაა ყოველ მსოფლიურიდან. რელიგია, ამგვარად, წყაროდ იქცევა, რომლიდანაც მძლავრად გადმოსჩქეფს ნაკადი **ასკეტიურ** მისწრაფებისა. ასკეტიზმის წარმოშვება მეორე უარყოფითი მხარეა რელიგიურ ლტოლვისა.

III. პედაგოგიურად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მხოლოდ შემდეგი მომენტია. რელიგია ხატავს აგრეთვე აბსოლუტს ასეთისა თუ ისეთის **სახით**. რელიგიოზური განათლება ამიტომ, როგორც ფოლკელტი ამბობს, ანვითარებს **სახეებით** აზროვნებას. ასეთი აზროვნება კი ფრიად არა სასურველი ხდება, როდესაც იგი უკიდურესობამდე ვითარდება და აბსტრაქციის ნიჭს შთანთქავს. ეს მესამე მომენტი რელიგიოზურ განათლებისა ფრიად მნიშვნელოვან შენიშვნას აძლევს აღმზრდელს: იგი ეუბნება, რომ რელიგიოზურ აღზრდის დროს დიდი ყურადღება აბსტრაქტულ აზროვნებაზე უნდა იყოს მიქცეული.

მაგრამ არის კი საზოგადოდ სასურველი რელიგიოზური აღზრდა? ჩვენ დავინახეთ, რომ რელიგია ადამიანის ბუნების დამოუკიდებელ ღირებულებას წარმოადგენს. აქედანა სჩანს, რომ რელიგიოზური მოთხოვნილება ნიშანდობლივი მოთხოვნილებაა ადამიანის ბუნებისა და მისი დაკმაყოფილება აუცილებელი პირობაა სრულ ადამიანის შემუშავებისა. ამას გარდა, დავინახეთ ისიც, რომ რელიგიას ბევრი ისეთი მხარე ახლავს თან, რომ ადვილად შეუძლიან ადამიანის ბუნება გაამდიდროს და გააძლიეროს. აქედან აშკარაა, რომ რელიგიოზური შემუშავება პიროვნებისა აღზრდის აუცილებელ მიზანს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ აქ იბადება საკითხი, საკითხი, რომელმაც გამწვავებული ბრძოლა გამოიწვია გერმანელ პედაგოგთა შორის, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველია რელიგიოზურ აღზრდას სკოლის ზღუდეთა შორის ჰქონდეს დათმობილი ადგილი. ჩვენ ამ საინტერესო საკითხის გადაჭრას აქ ვერ შევუდგებით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ შუა გზა აქ ერთად ერთი სასურველი გზაა: რელიგიოზური აღზრდა აღსაზრდელის სიპწიფის დაგვარად სკოლსაც ეკუთვნის და ოჯახსაც, მაგრამ, რადგან რელიგიური ლტოლვა წმიდათა წმიდაა ინდივიდის შინაარსისა და სკოლა კი აღსაზრდელის ინდივიდუალობას ვერას დროს ანგარიშს ვერ გაუწევს, ამიტომ რელიგიური აღზრდა უმეტეს ნაწილად ოჯახის ზღუდეთა შორის უნდა ხდებოდეს.

ამგვარად ჩვენ განვლეთ გძელი გზა და გამოცდილებით აღჭურვილნი მივაღწიეთ ჩვენის მოგზაურობის მიზანს. მან გვიჩვენა, რომ აღზრდას არას დროს არ უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად ცალმხრიობა, რომ იგი მუდამ ოთხ მხარეს უნდა იყოს მიმართული: იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის ყოველმხრივ განვითარებისაკენ, მაგრამ, იმავე დროს უნდა ახსოვდეს, რომ არც ერთი მხარე არა აქვს ადამიანის პსიხიკას ისეთი, რომ ერთგვარ უკუღმართობას თან არ ატარებდეს. ამიტომ იგი მუდამ უნდა იბრძოდეს და იმავე დროს აშენებდეს: იბრძოდეს უკუღმართ მხარეთა წინააღმდეგ და აშენებდეს ნათელ მომენტებზე. შედეგი ასეთ მოქმედებისა, როგორც მოსალოდნელია, იქნება იდეალური ადამიანი. მაგრამ რას წარმოადგენს იგი უფრო კონკრეტ გამოხატულებით? ეს სხვა საკითხია. ამის პასუხს ფილოსოფია გვაძლევს.

**დ. უზნაძე.**

ებრძვიან ათასგვარ დაბრკოლებას და ხშირად სულს ლევენ ამ ბრძოლაში; რითაც შეგვიძლიან, უნდა დავეხმაროთ ჩვენს ღარიბ ახალთაობას, რომლის ხელშია ჩვენი მომავალი ბედი, და შევუმსუბუქოთ მძიმე ტვირთი. განსაკუთრებით იმ პირთ არ უნდა დავივიწყდეთ მოძმენი, რომელთაც თვითონ გამოუცდიათ მათი გაჭირვება და ახლა ცოტად თუ ბევრად ნივთიერად უზრუნველყოფილნი არიან.

## ოსმალეთი

**პარლამენტის შენობის დაწვა.**

დეპეშამ გვაცნობა, რომ ამ დღეებში სტამბოლში დაიწვა ჩარაგანის სასახლე, რომელშიაც იმყოფებოდა ოსმალეთის ახალი პარლამენტი... ჩარაგანის სასახლე აშენებული იყო 1857 წელს მთლად თეთრის მარმარილოსგან. მისი უზარმაზარი დარბაზები მეტად დიდის გემოვნებით და ხელოვნებით იყო შემკული. ეს სასახლე ყველაზე ლამაზ შენობად ითვლებოდა მთელს სტამბოლში. 1876 წელს მოჰკლეს სულთანი აბდულაზისი, მასშივე მთელის 28 წლის განმავლობაში დატუსაღებული იყო სულთანი მურად მეხუთე, წარსულ შემოდგომაზე ახლანდელმა სულთანმა მახმუდმა პარლამენტს დაუთმო ეს სასახლე. დეპეშა იუწყებოდა, რომ სასახლესგან ცარიელი კედლები-და დარჩაო. მიზეზი ცეცხლის წაკიდებისა ჯერ რიგზე არ-არის გამოკვლეული.

**რუსეთ-გერმანიის შეთანხმება.**

ბერლინში სენსაციონური ხმა გავრცელდა, ვითომ რუსეთმა და გერმანიამ მეტის მეტად მნიშვნელოვანი შეთანხმება შეკრეს ბალკანეთის საქმეთა შესახებო.

**მაკედონიის საქმე.**

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ სტამბოლიდან: მაკედონიის საქმე მეტად გამწვავდა. ოსმალეთ-ბოლგარიის განწყობილებაც ძალის გამწვავდესო.

მაკედონელებმა დიდი კრება გამართეს ქალ. სოფიაში და მკაცრი პროტესტი გამოაცხადეს ახალგაზრდა ოსმალთა პოლიტიკის წინააღმდეგ. კრებამ, რომელსაც 6,000-ზე მეტი კაცი დაესწრო, დაადგინაა მოვითხოვოთ, რომ ბოლგარიის მთავრობა გაბედულად ჩაერიოს ამ საქმეში და რომ ევროპის სახელმწიფოებმაც დახმარება გაგვიწიონო.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** შაბათ საღამოს, 9 იანვარს, ქართულ თეატრს დიდძალი საზოგადოება მიაწყდა. ბევრი უადგილობისა გამო უკან დაბრუნდა. მიზეზი ხალხის მოზღვავებისა იყო სალიტერატურო განყოფილება, რომელიც ამ საღამოს გამართეს, და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობა.

სალიტერატურო განყოფილებაში მოხდა განსამართლება ალ. ყაზბეგის მოთხრობის „მოძღვარის“ მთავარ გმირის მაყვალასი. ამგვარი განსამართლება პირველი ხილია არა მარტო ჩვენში, რუსეთშიაც, ამას წინად საარტისტო საზოგადოებაში ასევე „გაასამართლეს“ იბსენის ნორა.

ფარდა რომ აიხადა, დავინახეთ სასამართლოს დარბაზი. ცალ მხარეს ისხდნენ სასამართლოს თავმჯდომარე, ორი მოსამართლე, ბრალმდებელი და მდივანი; მეორე მხარეს ნაფიცი მსაჯულები, მესამე მხარეს—ბრალდებული და ვექილები. იქვე იყო ბოქაული. დაიწყო საქმის გარჩევა. თავმჯდომარეობდა ივ. ზურაბიშვილი, ბრალს სდებდა ნ. ლორთქიფანიძე, ბრალდებულს იცავდნენ ივ. გომართელი და გ. გვაზავა. მოსამართლეებად და მსაჯულებად იყო თორმეტამდე კაცი, სხვა და სხვა პროფესიის წარმომადგენელი—ჟურნალისტი, ვექილი, ექიმი და სხვანი. ბრალდებულის სკამზე იჯდა ქ-ლი ნინო ჩერქეზიშვილი.

წაიკითხეს საბრალმდებლო ოქმი. მაყვალას ჰბრალდებოდა ორი რამ: 1. რატომ ყოველი საშუალება არ იხმარა, რომ გელას ცოლად არ გაჰყოლოდა და 2. რაკი გაჰყვა, რად უღალატა ქმარს და ოჯახი რად დაარღვია. გამოჰკითხეს მოწმეებს და ბოლოს სიტყვები წარმოსთქვეს ბრალმდებელმა და დამცველებმა.

უმთავრესი ამ გასამართლებაში ბრალმდებელის და ვექილების სიტყვები იყო. ბრალმდებელმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და, ჩვენის აზრით, საკმაოდ ვერ დაასაბუთა ბრალდება. სამაგიეროდ, დამცველმა ივ. გომართელმა ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ მისი სიტყვა ნაკლებად შეეხებოდა საქმეს და ბრალდებებს. იგი შეეხო ქალთა საკითხს საზოგადოდ. ივ. გომართელი ხანგრძლივის ტაშისცემით დააჯილდოვეს. ტაშით დააჯილდოვეს აგრეთვე მეორე ვექილი გ. გვაზავა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ბოლოს, თათბირის შემდეგ, გაამართლა მაყვალა. დამსწრე საზოგადოებამაც, რომლის აზრი ბარათებით მოჰკრიბეს, უდანაშაულოდ იცნო ბრალდებული.

უმთავრესი ნაკლი ამ გასამართლებისა ის იყო, რომ ცოტა არ იყოს, გაჭიანურდა. სიცოცხლეც ნაკლებად ეტყობოდა საქმის მსვლელობას. მაინც საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

შემდეგ ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს „შეშლილია“. ვლ. მესხიშვილს დიდის ამბით მიეგებნენ. გადმოყარეს ფურცლები და სხვა. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა.

მეორე დღეს, კვირას, ვლ. ალექსი-მესხიშვილისავე მონაწილეობით წარმოადგინეს „ურიელ აკოსტა“. ხალხი ამ წარმოდგენასაც ბევრი დაესწრო, მხოლოდ სულ ახალგაზრდობა, უმთავრესად მოსწავლეობა. ვლ. მესხიშვილს დაღლილობა ეტყობოდა. არც საკვირველია: ნამგზავრმა ორ წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა—წინა ღამეს და ამ დილით. ახალგაზრდობამ, რასაკვირველია, ოვაციებით მიიღო საყვარელი არტისტი.

**სახალხო თეატრი.** ზუბალაშვილის სახალხო თეატრში კვირას საღამოს „წრის“ სცენის-მოყვარეებმა წარმოადგინეს შილლერის „ყაჩაღები“. „ყაჩაღები“ ამ ჩეზონში მეორედ წარმოადგინეს და ეხლა უკეთესად ჩაიარა პიესამ, ვიდრე პირველად. თეატრი გაჭედილი იყო. სკამები ორკესტრშიაც იდგა.

**ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ტფილისის ქართულ დრამ. საზოგადოება მოელაპარაკა ვლ. ალექსი-მესხიშვილს, რომ დარჩეს ტფილისში და ირეჟისოროს ქართულ წარმოდგენებში. ვლ. ალექსი-მესხიშვილი დარჩება ტფილისში სეზონის დამთავრებამდე. კვირას, 17 იანვარს ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით ითამაშებენ „ჰამლეტს“.

## სასამართლო

**თავ-დასხმა.**

ამას წინად ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ალექსანდრე ქიქოშვილისა, რომელსაც სხვებთან ერთად პავლე ზადოროჟნისა და იგნატი ჩუპრინის მოკვლა ჰბრალდებოდა. როგორც საბრალმდებლო ოქმი გადმოგვცემს, საქმე ასე ყოფილა:

1909 წელს 25 თებერვალს ზადოროჟნი და ჩუპრინი მინავ ებულან ავჭალის ქუჩით და როდესაც მიახლოვებიან იაზონოვის ქუჩის კუთხეს, მღვდლის გევონდიანის სახლის ეზოს კარებიდან გამოვარდნილა სამი შეიარაღებული კაცი და ერთ იმათგანს ზადოროჟნისა და ჩუპრინისათვის უსროლია. დაჭრილი ზადოროჟნი იქვე დაცემულა, ხოლო ჩუპრინი გაქცეულა, მას გამოსდევნებია ერთი თავდამცემთაგანი და ჩუპრინი სასიკვდილოდ დაუჭრია. როდესაც ჩუპრინი წაქცეულა, უცნობი მივარდნია და ორჯელ კიდევ დაუხლია რევოლვერი. ამის შემდეგ უცნობნი მიმალულან. ნამდვილი მიზეზი მკვლელობისა ვერ გაუგიათ, მაგრამ თავდამცემებს შეცდომით უნდა მოეკლათ ისინი, ვითომ როგორც „ოხრანკის“ განყოფილების აგენტები.

პოლიციას ეჭვით დაუპატიმრებია ალ. ქოქოშვილი, გაუჩხრეკია იგი და რადგან საეჭვო ვერაფერი აღმოუჩენია, მალე გაუთავისუფლებია. მაგრამ შემდეგ გამოირკვეულა, რომ ქოქოშვილიც იღებდა თურმე მონაწილეობას ამ ორი კაცის მოკვლაში, რის შემდეგაც იგი რევოლვერით ხელში გაქცეულა. მას ჯარის-კაცები გამოსდევნებიან, მაგრამ ქოქოშვილი მიჰრილა თავის ძმასთან აგურხანაში, გადაუგდია საჩქაროთ პალტო და რევოლვერი, აუღია საცერი და მიწის ცრა დაუწყვია, რის გამოც ჯარის-კაცებს ყურადღება არ მიუქცევიათ. მხოლოდ შემდეგში დაუპატიმრებიათ და პასუხისგებაში მიუციათ.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ალექსანდრე ქოქოშვილი (22 წლისა) და 12 წლით კატორგა მიუსაჯა.

**ყალბი ფული.**

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, შარშან ტფ. ოლქის სასამართლომ ოთხი წლით კატორგა მიუსაჯა სოლომონ ორჯონიკიძეს, რომელსაც ყალბ ასას მანეთიანების დამზადება ჰბრალდებოდა, ხოლო მისი ქალი ლიუბა ჩერქეზიშვილისა, რომელსაც ბოროტმოქმედების დაფარვა ჰბრალდებოდა, გაამართლა. ბრალმდებელი მაშინ არ დაეთანხმა განაჩენს და საქმე ტფ. სამოსამართლო პალატაში გადაიტანა. პალატამ განიხილა ეს საქმე და დაამტკიცა ტფ. ოლქის სასამართლოს განაჩენი.

**რევოლვერის სროლა.**

1908 წელს 22 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ნესტორ სულაბერიძე მინივლიბულა ვოგზლის ქუჩით. როდესაც მაქსიმე ზვიადაძის დუქანს გასწორებია დუქნის კარებში მდგომ მაქსიმე ზვიადაძეს ამოუღია რევოლვერი, დაუწყვია სროლა და დაუჭრია მხარში ნესტორ სულაბერიძე. პასუხის გებაში მიცემულს ზვიადაძეს წინასწარ გამოძიების დროს უთქვამს: 1907 წელს სულაბერიძემ მოჰკლა ჩემი შვილი, რაზედაც მას სამი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯეს, მაგრამ სულაბერიძე თავდებით გამოუშვეს; მოსვენებას არ მაძლევდა და სიკვდილით მემუქრებოდა და სულ შიშში ვიყავი, რის გამოც რევოლვერის ტარების ნებართვაც-კი ავიღე. სწორედ ამ მდგომარეობაში ვიყავ, რომ სულაბერიძე თავის ამხანაგებით მოვიდა ჩემთან, უცბად ჯიბეში ხელი ჩაიყო. ვიფიქრე, ჩემს მოსაკლავად მოვიდა-მეთქი, ამიტომ ამოვიღე რევოლვერი და გავისროლე, მხოლოდ არ ვიცი, დავჭერი ვინმე თუ არაო.

ეს საქმე ტფილ. ოლქის სასამართლომ 11 იანვარს განიხილა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი დ. ზ. გულულოვი. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო მაქსიმე ზვიადაძე (50 წლისა) და გაამართლა.

**მუქარით ფულის მოთხოვნა**

9 იანვარს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ქუთაის მცხოვრებთა გიორგი დვალისა, სერაპიონ აბხაძისა, გიორგი ჯამბურიასი, ტრიფონ ტალაბაძისა და გიორგი კვაჭაძისა, მათ სხვებთან ერთად ჰბრალდებოდათ 1909 წელს აგვისტოში სოფიო ხავთასისაგან მუქარით ფულის (პირველად 200 მან., მეორედ 2000 მან.) მოთხოვნა.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი სერაპიონ აბხაძე და გიორგი ჯამბურია და ოთხ-ოთხი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა, ხოლო დანარჩენი ბრალდებულნი გაამართლა.

## უცხოეთი

**არჩევნები ინგლისში.**

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო 10 იანვრის თარიღით იუწყება, რომ, აღბად ხსნებულ დღემდე, სულ არჩეული ყოფილა 218 უნიონისტი, 185 ლიბერალი, 33 მუშათა პარტიის წევრი და 67 ნაციონალისტი.

ამ ცნობიდან სჩანს, რომ ჯერ კიდევ უნიონისტები სჯობნიან ლიბერალებს: ჯერ იმდენი უნიონისტი აურჩევიათ, რამდენიც ლიბერალი და მუშა ერთად. ვნახოთ, ამას იქით როგორ-და წავა საქმე. აქამდე არჩეულია სულ—503 დეპუტატი. კიდევ უნდა აირჩიონ 167 დეპუტატი.

ინგლისში არჩევნები ერთ დღეს არა ხდება, როგორც სხვა ქვეყნებში, და ჩვეულებრივ ორ კვირამდე გასტანს ხოლმე. წელს, როგორც ოფიციალურად იყო გამოცხადებული, არჩევნები დასრულდება 19 თებერვალს, (ზოგიერთ გაზეთის ცნობით—15 იანვარს). ასე რომ არჩევნის საბოლოო შედეგი ჩვენ გვეცოდინება დაახლოვებით არა უგვიანეს 22 იანვრისა.

როგორც ვიცით, სულ უნდა აირჩიონ 670 დეპუტატი, ამათგან 465 უნდა აირჩიოს ინგლისმა, 30—უელსმა, 72—შოტლანდიამ და 103—ირლანდიამ. დათხოვნილ პალატაში ლიბერალებს ჰყავდათ—365 დეპუტატი. მუშათა პარტიას—53, ირლანდიელ ნაციონალისტებს—83 და უნიონისტებს 169. ამომრჩეველთა რიცხვი სულ უდ-7,708,717. აქედან ინგლისსა და უელსს ერთად შეხვდებათ—6,221,722, შოტლანდიას—785,208 და ირლანდიას—698,787.

გაზეთები, უცხოეთისა თუ რუსეთისა, დიდის ინტერესით ეკიდებიან ინგლისის არჩევნებს და მრავალ წერილებს და შენიშვნებს უძღვნიან მათ. გერმანული გაზეთები არჩევნების მესამე დღესვე სწერდნენ, რომ ლიბერალები უთუოდ გაიმარჯვებენ, რადგან კონსერვატორები ვერა დროს ეღირსებიან საჭირო უმეტესობასო; ეგაა ლიბერალებიც მხოლოდ ირლანდიელ ნაციონალისტების და ინგლისელ მუშების შემწეობით მოიპოვებენ უმეტესობას, ხოლო ეს გარემოება საკმაოდ ვერ უზრუნველჰყოფს ძლიერ და დამოუკიდებელ მთავრობის დაარსებასთ. ასევე უცქერის საქმეს თურმე ამერიკული პრესაც.

ასეთსავე აზრს გამოსთქვამენ რუსული გაზეთები „რეჩი“ და „რუსკ. ვედომოსტი“.

„რუსკ. ვედომოსტი“ სწერს: „მართალია ჯერ-ჯერობით უნიონისტები იმარჯვებენ არჩევნებში, მაგრამ მაინც შეუძლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ ახალ პარლამენტში ძალა კონსერვატორების ხელში გადავიდეს. მით მაინც ლიბერალთა პარტია თითქმის განსაცდელშია ჩავარდნილი: კონსერვატორების ძლიერი უმცირესობა სწორედ საქმეს გაუძნელებს ლიბერალურ მთავრობას ახალ სამინისტროში. მხოლოდ „მოდალატე ირლანდიელების“ (ასე ეძახიან მათ კონსერვატორები) შემწეობით ასკვიტისა და ლოიდ-ჯორჯის სამინისტროს ძლიერ გაუძნელდება ღრმა რეფორმების განხორციელება და ინგლისის საუკუნოებით ნაკურთხ ეროვნულ კონსტიტუციის შეცვლა, ესე იგი მეტად გაუძნელდება ლორდთა პალატის ალაგმვა“.

თუ გაზეთებს დავუჯერებთ, თითონ ასკვიტსაც უთქვამს, მე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიკისრებ სამინისტროს მეთაურობას, თუ ჩვენი პარტია თვალსაჩინოდ გაიმარჯვებს და თუ ამასთანავე მეფე დამპირდება ლორდთა პალატის უფლების შეზღუდვასო.

კონსერვატორები ელიან, რომ თუ ლიბერალურ პარტიას დიდი უმეტესობა არ ეყოლება, ასკვიტის სამინისტრო სამსახურიდან გადადგებაო: ლორდთა პალატასთან საბრძოლველად მას აუცილებლად სჭირია დიდი უმრავლესობა დეპუტატთა პალატაში.

გაზეთები იუწყებიან, რომ საარჩევნო ბრძოლა მეტის-მეტად გამწვავდაო: ასე მაგალითად ქალ. ისლინგტონში ხალხი ლაყე კვერცხებსა და ტალახს ესროდა იმ ამომრჩევლებს, რომლებიც მდიდარ კონსერვატორებს თავიანთ ავტომობილებით მოჰყავდათ არჩევნებში.

ქალ. გრიმსბის კონსერვატიულ ოლქში ხალხი ასე მტრულად შეხვდა ფინანსთა მინისტრს ლოიდ-ჯორჯს, როცა იგი გამოდიოდა დარბაზიდან, სადაც ის იყო სიტყვა წარმოსთქვა; რომ „უელსელი“ (ლოიდ-ჯორჯი ტომით უელსელია) იძულებული იყო უკანა კარებით გასულიყო და ცეცხლის მქრობელთა უაზარმაში დამალულიყო.

წარსულ შაბათს საღამოთი ლონდონში ფლიტ-სტრიტის ქუჩაზე, სადაც მრავალ გაზეთის რედაქცია იმყოფება, ქუჩა ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ იძულებულნი იყვნენ შეეჩერებინათ ეტლთა მიმოსვლა.

**ლოიდ-ჯორჯის სიტყვა.**

ასკვიტის შემდეგ, უნიონისტების მეთაურს ბალფურს პასუხი გასცეს სხვა მინისტრებმაც. საზღვაო მინისტრმა მაკ-კენამ ციფრები მოიყვანა ხალხის დასამშვიდებლად: 1912 წელს გერმანიას, უკეთეს შემთხვევაში, 13 „დრედნოუტ“ი (დიდი ჯავშნიანი გემი) ექნება, ხოლო ინგლისს 20-ო; ამიტომ „გერმანიის საფთხე“, რომელსაც ხელზე იხვევენ უნიონისტები, სრულიად საშიში არაა ინგლისისთვისო.

მაგრამ ყველაზე მკაცრად დაჰგმო ბალფურის სიტყვა ფინანსთა მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა. მან სთქვა: „უნიონისტების მეთაურმა სხვა რომ ველარა მოახერხარა, გერმანიას მისწვდა და „გერმანიის საფთხით“ მოინდომა ჩვენის ხალხის შეშინება. ასეთ საარჩევნო ხერხს ოდესმე ხმარობდნენ ხოლმე ამერიკაში, სადაც ინგლისით უყვარდათ ამომრჩევლების დაფეთება... ესეთი ულირსი ხერხი, რომელიც უქადის ევროპის მშვიდობიანობას, არ შეშვენის პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ ოდესმე ისევ გახდება მთავრობის მეთაურად... 10 წელიწადში ინგლისმა ააშენა 70 ჯავშნოსანი, მაგრამ ჯერ კიდევ მათ აშენებამდე იგი იყო პირველი საზღვაო სახელმწიფო. გერმანის აქვს 38 ჯავშნოსანი, ჩვენ-კი—78, ხოლო ჩვენი მეზღვაურები მამაცობითა და გამოცდილებით პირველები არიან მთელს ქვეყნიერობაზე“.

ასეთივე პასუხი გასცეს ბალფურს სხვა მინისტრებმაც: რენსიმენმა, ედუარდ გრეიმ და სხვებმა.


## განცხადებანი

● რადგან სასწრაფოდ საზღვარ გარედ მიხდება წასვლა, ●

ვეძებ პატიოსან კაცს 300 მანეთით ბეით 120 ხაავარაკო ნაჭრის საქმეების განსაგებად და გასასყიდად, აგრეთვე ტყის მოსაჭრელად და ზე-ტყის მასალის გასასყიდად. ადრესი: ტფილისი, ვოენნაია ქ., სადაც ეტლების ფოსტაა, „ალექსანდროვის ნომრები“ N 7. ნახვა შეიძლება დილით 9—10 ს., საღამოთი 5—6 საათამდე. (1—1028—1)

## დაეშურეთ

ვისაც უნდა ფული პირველ ან მეორე გირაოზე, ვიგირავებ როგორც ქალაქის, ისე სოფლის მამულებს, ყველგან. მსურველმა უნდა გამოგზავნოს წერილი და თან გამოაყოლოს ორი შვიდ-კაპიკიანი მარკა პასუხისთვის. ამ ადრესით: სურამი ს. ხითაროვს. (1—1027—1)

**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა

დილით:

შ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

[illegible]: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალის, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1\frac{1}{4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

საღამოთი:

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6\frac{1}{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **შ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—249)

გრამოფონების მეგობრებისა და მოყვარულების

**საყურადღებოდ.**

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე, აზოვ-დონის ბანკის პირდაპირ,

**გრიგოლ სერგეის ძე დავიდოვმა გახსნა**

◀ **გრამოფონებისა და ფირფიტების ახალი საწყობი** ▶

**მიღებულია აუარებელი ორპირიანი ფირფიტა ზონოფონის ქარხანა და სააქციონერო საზოგადოება**

**„გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“**

საქარხნო მარკით: ანგელოზი კალმით ხელში.

ქალაქ გარეშე მყოფ მყიდველების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ რადგან საწყობს აუარებელი საქონელი მოუვიდა, ამიტომ დაკვეთილი საგანი სწრაფად და ხელად გაეგზავნებათ. (5—5—3)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**ჯ ე ჯ ი ლ ი**

**ოცდა პირველი წელიწადი**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი „ჯეჯილი“** ტფილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას **„იმერეთი“-ს** და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(5—2) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**მომავალი**

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.**

**გაზეთი ღირს:** ტფილისსა და ტფილისს გარეთ: ერთი წლის 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: ტფილისში 2 მან. 20 კაპ., ტფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. ერთი თვით: ტფილისში 80 კაპ., ტფილისს გარეთ 90 კაპ.

◀ **ცალკე ნომერი ერთი შაური** ▶

**ხელის მოწერა მიიღება:** ტფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3. ზემო სართული.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.** (4—2)

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА **1910** ГОДЪ

(ТРЕТІЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

**на двухнедѣльный журналъ**

# „ФИНЛЯНДІЯ“.

Выходитъ 10 и 25 числа каждаго мѣсяца.

**24 номера въ годъ.**

Редакторъ: **А. В. Игельстромъ.** Издатель: **Д. Д. Протопоповъ.**

Задачей журнала „ФИНЛЯНДІЯ“ является освѣщеніе такъ называемаго „финляндскаго вопроса“ и отраженіе несправедливыхъ шовинистическихъ нападковъ извѣстной части русской періодической печати на Великое Княжество и его внутреннюю самостоятельность, многократно подтвержденную россійскими Монархами.

„ФИНЛЯНДІЯ“ кромѣ того даетъ обширный фактическій матеріалъ по всему, что касается жизни этой страны и что содѣйствуетъ культурному сближенію русскаго и финляндскаго общества.

**подписная цѣна съ доставкой и пересылкою:**

| | Въ Россіи и Финляндіи. | Заграницу. |
|---|---|---|
| На цѣлый годъ | 6 р. — к. | 7 рублей |
| „ полгода | 3 » — ». | 4 » |
| „ три мѣсяца | 1 » 50 ». | — |

Отдѣльные номера 25 копѣекъ. (Наложеннымъ платежомъ 35 копѣекъ).

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Мойка, 24 (у Пѣвческаго моста). Тел. 109—12, въ книжномъ магазинѣ Р. Эдгрена (Б. Конюшенная, 8), „Наша Жизнь“, М. О. Вальфа, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ столицъ, Финляндіи и провинціи. (3—1).


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.